

თენგიზ ცეცხლაშვილი



ფადიკო გოგიტიძე
1916 – 1940
პირველი მფრინავი ქალი
აჭარიდან

ავტორის აგან

მორიგ წიგნზე „მარად დაუვიწყარი თამარ სულხანიშვილი“ მუშაობის პროცესში, რომელსაც ვუძღვნი თამარ სულხანიშვილის ცხოვრების მეგზურს, მის დიდ სიყვარულს და სცენის უზადლო კორიფეს, დიდ იუსუფ კობალაძის ნათელხსოვნას, ვითარებიდან გამომდინარე მომიხდა წერილით მიმემართა ქალაქბათუმის მერისთვის, ბატონ ლაშა კომახიძისთვის. აი, ისიც:

წიგნი „**მარად დაუვიწყარი თამარ სულხანიშვილი**“ მოგვითხრობს საქართველოს დამსახურებულ მსახიობზე, ვისთანაც ერთად პიონერის როლს ვთამაშობდი პიესაში „**სიმღერა შეგარდენზე**“. პიესა ეძღვნებოდა ჩვენს თანამემამულეს, საბჭოთა კავშირის გმირი მფრინავის **ისრაფილ ჯინჭარაძის** ნათელ ხსოვნას. ისრაფილ ჯინჭარაძე გმირულად დაიღუპა ერთ-ერთი მორიგი საბრძოლო დავალების შესრულების დროს. უნებლიეთ მივაქციე ყურადღება ყოფილი პიონერთა პარკის შესასვლელში, წლების მანძილზე ამაყად მდგარი ისრაფილ ჯინჭარაძის ბიუსტს, რომლის ვინაობის აღმნიშვნელი წარწერა სამწუხაროდ ჩამოგლეჯილი იყო და ტურისტებისა და სტუმრების კითხვებზე, თუ ვინ არის ბიუსტზე ასახული? პასუხის გაცემა, ჩვენდა სამარცხვინოდ იქვე წვრილმანებით მოვაჭრეებს უხდებოდათ და ისიც დიდი შეცდომებით, განსაკუთრებით, თუ მათ ამის თქმა არაშეძლებიერ ენაზე უხდებოდათ.

ახალგაზრდა გმირი მფრინავი ფაშიზმთან ბრძოლაში გმირულად დაეცა, სამშობლოს შესწირა თავი, რომლებიც ომის გამოუცხადებლად თავს დაესხნენ ყოფილ საბჭოეთსა და მთლიანად ევროპის ქვეყნებს.

ილიას სიტყვებით რომ ვთქვათ:

„არ ვიცი თ სხვა როგორა ჰფიქრობს, ჩვენ კი ასე გვგონია, რომ ერის დაცემა დაგათახსირება მაშინ იწყება, როცა ერი, თავისდა საუბედუროდ, თავის ისტორიას ივიწყებს. როგორც კაცად არ იხსენება ის მაწანწალა ზოგანა, ვისაც არ ახსოვს ვინ არის, საიდან მოდის და სად მიდის, ისეც ერად სახსენებელი არ არის იგი, რომელსაც ღმერთი გასწყრომია და თავისი ისტორია არ ახსოვს. რა არის ისტორია? - იგი მთბრობელია მისი, თუ რანი ვიყავით, რანი ვართ და რად შესაძლოა ვიყვნეთ კვლავადაც. ისტორია თავის გულის ფიცარზედ იბეჭდავს მარტო სულისა და გულის მოძრაობას ერისას, და ამ დაბეჭდვითა, როგორც სარკე გვაჩვენებს იმ ღონეს და საგზალს, რომელიც მომადლოებული აქვს ამა თუ იმ ერსა დღევრძელობისთვის და გაძლიერებისთვის.“

ბატონო მერო, გათხოვთ გულთან ახლოს მიიტანოთ ეს საჭირბოროტო საკითხი.

თენგიზ ცეცხლაშვილი

ისრაფილ ჯინჭარაძის ბიუსტზე მემორიალური დაფის საზეიმო გახსნა



**2019 წლის 15 ოქტომბერი სურათზე აქციის ორგანიზატორები
ბატონები: ჯეირან ფალაგანდიშვილი და თენგიზ თავდგირიძე**

როდესაც ისრაფილ ჯინჭარაძის ბიუსტის მემორიალური დაფა აღდგა, დავიწყებ ფიქრი ფადიკო გოგიტძის მონუმენტზე და წერილით მივმართე ქალაქ ბათუმის მერს ბატონ ლაშა კომახიძე. აი, ისიც:

**ქალაქ ბათუმის მერს
ბატონ ლაშა კომახიძეს**

ბატონო ლაშა, უპირველეს ყოვლისა ბათუმელების სახელით მინდა უღრმესი მადლობა გითხრათ ყოფილი საბჭოთა კავშირის გმირი მფრინავის ისრაფილ ჯინჭარაძის ჩამოგლეჯილი ბიუსტის ვინაობის აღმნიშვნელი წარწერა რომ აღადგინეთ. ასევე მადლობას ვუთხვებით თქვენი სამსახურის თანამშრომლებს: სულხან ევგენიძეს და ოთარგორგილამეს, რომელთა უშუალო ჩართულობით გაკეთდა, ყოველივე ეს.

თუმცა აქვე თანაქალაქელებისაგან სამართლიანი საყვედურიც დავიმსახურე: „კი მაგრამ აჭარის მკვიდრმა პირველმა ქალმა მფრინავმა ფადიკო გოგიტიძემ რაღა დააშავა, პარკის შესასვლელში რომ დგას მისი მონუმენტი ბავშვთან ერთად და ზედ ვერავითარი წარწერას ვერ ამოიკითხავთო?“.

მართალია, მისი ბიუსტი, დღეს აეროპორტის მისასვლელთანაა განთავსებული თავის თვითმფრინავთან ერთად, რომელიც 2013 წლამდე პიონერთა პარკში იყო განთავსებული, თუმცა იქ მხოლოდ მანქანების განუწყვეტელი მოძრაობა და ბევრმა არც იცის, ვისი ბიუსტი დგას იქ...

მანამდე, კი „2003 წლის 9 მაისს, ანუ ფაშინაშვილზე გამარჯვების დღესასწაულზე ბათუმში, ინასარაძის ქუჩაზე პატარა სკვერში საზეიმოდ გაიხსნა ფადიკო გოგიტიძის ბიუსტი, სადაც ის 1940 წლის 6 ოქტომბერს მორიგი საცდელი ფრენისას დაიღუპა. ბიუსტი მალე სუპერმარკეტში აღმოჩნდა. საქმე იმაში გახლდათ, რომ ვიღაცას, ეტყობა, მისი მოპარვა სურდა და ამიტომ უზნის პოლიციამ მერიის სამსახურები ჩააყენა საქმის კურსში და ერთობლივად გადაწყდა, ფადიკო გოგიტიძის ბიუსტი დროებით იქვე მდებარე სუპერმარკეტში შეენახათ. სულ მალე პირველი მფრინავი აჭარელი ქალის ბიუსტს უფრო მტკიცედ დაამაგრებენ კვარცხლბეკზე და მასზე მეთვალყურეობასაც დააწესებენ, რათა ვერც ჯართომანიით და ვერც პოლიტიკური ავანტიურისმით დაავადებულებმა ვერ შეძლონ მისი მოხსნა.“ ეს გახლდათ ამონარიდი გაზეთ „აჭარა“ რიდან 2004 წ. 21 სექტემბერი N182. დღეს ბიუსტის ადგილზე დიდი ქვის ჯვარია აღმართული.

სამართლიანობა მოითხოვს, რომ ამ ტრაგიკული ბედის მქონე პიროვნებას, რომელსაც მონუმენტიც დაუდგეს პარკის შესასვლელში, წარწერაც უნდა გაუკეთდეს. მან თავისი გამრულად განვლილი ხანმოკლე ცხოვრებით დაიმსახურა ეს და რაც მთავარია, მონუმენტი ქალაქის ღირსებაცაა და სილამაზეც.


აქვე გულისტკივილით მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენს წინა თაობას გულთან უფრო ახლოს მიჰქონდა ეროვნული საკითხები, ვიდრე დღევანდელ თაობას და დღეს ეს ხარვეზი თუ არ აღმოიფხვრა, დაიღუპება ეროვნული მეხსიერება.

წარწერაც სათანადოც უნდა გაკეთდეს „აჭარის მკვიდრი, პირველი მფრინავი ქალი ფადიკო გოგიტიძე **1916-1940 წწ.**

გვჯერა, ამ ჩვენს გულის ტკივილსაც გაიზიარებთ და მალე სათანადო წარწერასაც ვიხილავთ მფრინავი ქალის მონუმენტზე, რისთვისაც საზოგადოების სახელით წინასწარ გეუბნებით მადლობას.

ბათუმის საზოგადოებრივი მოძრაობა „2011 წლის 26 მაისი - მამული, ენა, სარწმუნოება“-ს თავმჯდომარე თენგიზ ცეცხლაშვილი

17 ივლისი 2019 წელი



კოლონადა ზღის შესასვლელში, 1939 წ.



ფადიკო გოგიტიძის უკვდავსაყოფლად დადგმული მონუმენტი

ფადიკო გოგიტიძეს 2001 წელს წიგნი მიუძღვნა მწერალმა, აწ გარდაცვლილმა **იოსებ ბეჭირიშვილმა** „**ფადიკო გოგიტიძე – აჭარის პირველი მფრინავი**“, წიგნში ასევე მოხსენიებულია ფადიკოს ძმაც შორეული ნაოსნობის ცნობილი კაპიტანი **ელიზბარ გოგიტიძე**.



ელიზბარ გოგიტიძე

მიზანშეწონილად მივიჩნევ ამ წიგნის ფურცლებიდან რამდენიმე ეპიზოდით სინათლე მოვფინო, ფადიმე გოგიტიძის ხანმოკლე, მაგრამ ვაჟკაცურად განვლილი ცხოვრების გზას.

„აჭარის ვეტერანი ჟურნალისტი, სამამულო ომის აქტიური მონაწილე, გოგიტიძეთა ნაცნობი ამირან გურგენიძე იგონებდა: „ისე როგორც სხვა ქალაქებსა და სამრეწველო ცენტრებში, ბათუმშიც გაიხსნა საპარაშუტო კურსები, შვედინენ არამარტო ვაჟები, არამედ ქალიშვილებიც. მათ შორის აჭარიდან პირველი იყო ფადიკო გოგიტიძე. იგი ხარბად დაეწაფა სწავლას. ბათუმის ლენინის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა პარკის ტერიტორიაზე იმ დროს აღმართულ საპარაშუტო კოშკზე პირველად ასვლა და იქიდან გადმოხტომა ახალბედსათვის მეტისმეტად ძნელი იყო. ფადიკომ გადალახა ეს სიმაღლე. ეს იყო მისი პირველი ნაბიჯი ავიაციაში. მაგრამ დამოუკიდებლად გადადგმულა ამ ნაბიჯმა მეტად გააოცა მშობლები, ნათესავები, ახლობლები. გასაოცებელი კი მართლაც იყო. აჭარელი ქალი საპარაშუტო საქმეს ეუფლებოდა, მფრინავი უნდ გამხდარიყო. ბნელი წარსულის მემკვიდრეობას თუ გავიხსენებთ, ეს მართლაც განსაკუთრებული შემთხვევა თვალში ხვდებოდა ყველას.

მშობლები ადრეც ამჩნევდნენ, მათ ქალიშვილს საფრენოსნო საქმე რომ იტაცებდა, მაგრამ რატომღაც სჯეროდათ, რომ ფადიკოს ადრე თუ გვიან თავისთავად შეუმჩნევლად გაუვლიდა ეს „ავადმყოფობა“, აიშესა და შაბანის დიდ ოჯახში თაობიდან თაობას გადაეცემოდა ზღვის სიყვარული, ფადიკომ კი დაარღვია ეს ტრადიცია.

საკვირველია ამბობდა დედა, ამ გოგომ რაღა მაინცდამაინც მფრინავობა აიჩემა, რა ეშმაკი შეუჯდა. ჩემთვის მაინც გაემხილა გულისწადილი... არ ჯობდა, ექიმობა ესწავლა, ან პედაგოგი გამოსულიყო.

მამა კი ასე მსჯელობდა:

თუ ხმელეთზე არ აპირებდა ცხოვრებას და შრომას, რა მოხდებოდა მამისა და ძმების გზას გაჰყოლოდა?! საზღვაო ტექნიკუმშიც ხომ ჩვენი სახლის წინაა. აქ არამარტო ჰიდროტექნიკოსებს ამზადებენ, არამედ გემწამყვანებსაც, შტურმანებსაც.

იმხანად ბათუმის საზღვაო ტექნიკუმის გემწამყვანთა განყოფილებაზე ვაჟებთან ერთად წარმატებით ეუფლებოდნენ საზღვაო საქმეს იულია ფაილოძე, ნინო კალანდაძე, ვაიდე გვარიშვილი და შუშანა თუმანიშვილი, რომლებმაც წარჩინებით დაამთავრეს აღნიშნული სასწავლებელი, საფუძვლიანი საზღვაო პრაქტიკა გაიარეს და შორეული ნაოსნობის შტურმანები გახდნენ. დიდი სამამულო ომის ბოლოქარ წლებშიც ისახელეს თავი.

ერთი სიტყვით, მეზღვაური გოგიტიძეების დიდ ოჯახს კიდევ ერთი მეზღვაური უნდა შეჰმატებოდა და ისიც ქალი, ასე სურდათ მშობლებს, ძმებს, დებს.

მშობლებისა და ნათესავების რჩევა-დარიგების მიუხედავად, ფადიკომ მის მომავალ პროფესიად მაინც მფრინავობა აირჩია.

ბევრისთვის მართლაც გაუგებარი იყო რისთვის შეძლებია მშვენიერი ქვეყანა, ფათურაკების საძებნელად რაღა ცას ეჭიდებო, ამბობდნენ ბათუმელები. რა არ ურჩიეს, რარიგ არ თხოვეს, მაგრამ ცაში რკინის ფრთებით ნავარდობაზე ოცნების განხორციელება ვერ გადაათქმევინეს.

1935 წლის დასაწყისში ფადიკო გოგიტიძე ბათუმის საპლანერო-საპარაშუტო სკოლაში შევიდა. მას სპორტის ოსტატები ვალენტინ ერისტოვი და ევგენი ბოიკო ასწავლიდნენ. აქ ყველა დარწმუნდა, რომ გოგონას არჩევანი შემთხვევითი არ იყო. ვაჟებზე გაბედულად მოქმედებდა, იჩენდა ინიციატივას, ყველასათვის მაგალითად იქცა. ფადიკოსთან ერთად სწავლობდა ლეგენდარული მფრინავი, მეორე მსოფლიო ომის გმირი ისრაფილ ჯინჭარაძე.

ახლა კი ფადიკოს დის მერიემ გოგიტიძე-ჩხაიძის მოგონება გავისხენოთ: „1940 წლის 6 ოქტომბრს ტრაგიკულად დაღუპულ აჭარის პირველ მფრინავ, ბათუმის აეროკლუბის ერთ-ერთ დამაარსებელ ფადიკო გოგიტიძეზე ბევრი ითქვა და დაიწერა. მხოლოდ 24 წელი იცოცხლა, მაგრამ მაინც ლეგენდად იქცა. არის მისი სახელობის ქუჩა, აღმართულია ძეგლი.

ცხრა და-მმას შორის მხოლოდ ერთი მერიემიაა ცოცხალი, 88 წლისაა, მას ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ზედა აგარაში ვეწვიე, სადაც შვილ რევაზ ჩხაიძესთან ერთად ცხოვრობს.

სახელოვანი დის ფადიკოს, ასევე ლეგენდარული ძმის, შორეულ ნაოსნობის კაპიტანის ელიზბარ გოგიტიძის, სხვა ძმების შესახებ გვიამბო ქალბატონმა მერიემმა. მშვენიერი მეხსიერება აქვს და ასეთივე მოსაუბრეა. ცხრავე და-ძმა: დილბერი, ელიზბარი, ისმაილი, სულეიმანი, რეზიმე, ალი, მეჰმედი, თვით მერიემი და ნაზოლარა ფადიკო ქ. ფოთში გაიზარდენ. მათი მამა შაბანი ქობულეთის რაიონის ალამბრიდან იყო. სამუშაოდ ფოთს მიაშურა, გახდა ე.წ. შავი მუშა, მტვირთავი, მეზღვაური, ბრიგადირი, შუქურას ზედამხედველი, ბოცმანი, სხვაგვარად „ზღვის მეგლს“ უწოდებდნენ. შვილებიც მის კვალს გაჰყვნენ.

საცხოვრებლად ბათუმში გადმოსულებმა ზღვას არ უღალატეს. დილბერი ნავსადგურში, მერიემის თქმით, გემებს იღებდა და უშვებდა ე.ი. ბოცმანი ყოფილა. აქვე შრომობდა ალი, ხოლო ისმაილმა ქირურგობა აირჩია და როსტოვში მოღვაწეობდა, სადაც ახლა მისი შვილები სახლობენ. სულეიმანი ჩაის ფაბრიკის მექანიკოსად მუშაობდა, მისი შთამომავლები კრასნოდარის მცხოვრებლები არიან. მეჰმედი ფაშისტების წინააღმდეგ ბრძოლას შეეწირა. ქალბატონ მერიემს ექვსი შვილი ჰყავს. შვილიშვილებითა და შვილთაშვილებით 80-მდე არიან. იგი რომ მშვენიერი მთხრობელია, ამას მასთან საუბრის მაგნიტოჩანაწერიც ცხადყოფს, რომელიც ორჯერ გადაიცა აჭარის რადიოთი და ახლა მის „ოქროს ფონდში“ ინახება.

გაცნობა-გაშინაურების შემდეგ ფადიკოზე ვკითხე. თვალებზე ცრემლი მოადგა, ენა დაება, გადმოგვხედა, ენერგია, გამბედაობა მოიკრიბა და გვითხრა: ფადიკოს დაღუპვიდან 60 წელი გავიდა შვილო, მე ყველაფერი მახსოვს, მისი ზავშობა, თბილისში წასვლაც, დაღუპვის ამბავიც. თავი რომ არ მოგაწყინოთ, თუ რაიმე გამომჩრება, თქვენთვის საინტერესოს ვერ ვიტყვი, მკითხეთ, მეც შევაგვებ. ბევრი თქვენც გცოდნიათ. დედაბერს გულს მიმაგრებს ის, რომ ჩემი დაიკო ახსოვთ, არ ივიწყებენ. და-ძმები კარგები ვიყავით, არასოდეს არაფერში არ ვაწუხებდით ერთმანეთს. მშობლები იშვიათად თუ შეგვახსენებდნენ იმას, რაც გვთხოვს თუ დაგვაძალეს. გაგონება, ზრდილობა, მორიდება და შეგნება ბატონობდა ჩვენს დიდ ოჯახში. მაგალითს ყველაფერში მამა იძლეოდა. ძლიერი კაცი იყო, თავდაჭერილი, შემოხედვითაც ვუგებდით მას. დედაც ხარობდა – ისეთი კარგები მყავხართ, რომ ჩემი დაცვა რაიმეში არ გჭირდებათ. მშობლებმა არაფერი მოგვაკლეს. ყველა ცხოვრების სარბიელზე გამოვიყვანეს. ფადიკო ნაზოლარა იყო, ყველაზე უფრო ცოცხალი, მკვირცხლი, დაუზარელი, ყველაფერში პირველობა სურდა, უხაროდა ალამბარში სტუმრობა, ნათესავების მონახულება, ფოთში რუსული და მეგრულიც ვისწავლეთ. ფადიკო ფეხბურთმაც გაიტაცა, იქ მეგობრულად ვიყავით.

ბათუმში ტელმანის ქუჩაზე ვცხოვრობდით. ძმები ნავსადგურში მუშაობდნენ. მამაც იქვე, შუქურაზე. ფადიკო ბათუმშიც კარგად სწავლობდა. მამინ ნასწავლი ხალხი თბილისში გამოდიოდა. ფადიკომ თქვა, ექიმობა მინდაო, ჩვენც შევავროვეთ ფული და წავიყვანეთ.

– აბა, მფრინავი როგორ გახდა, რა მოხდა? – ვკითხეთ ქალბატონ მერიემს.

– იცოდა, რომ მფრინავობაზე უარს ვეტყობდი. მფრინავი ქალები კი არა, კაცები ცოტა იყვნენ. ეს ქალის საქმე არ იყო, დღესაც ასეა, ამიტომ იემშაკა. საბუთები ვითომ სამედიცინო ინსტიტუტში შეიტანა, მოეწყო კი აეროკლუბის საფრენოსნო სასწავლებელში. ამბავი მოგვივიდა, ექიმობას სწავლობს, თურმე ცაში ნავარდობას ეუფლებოდა. ტრაგიკული დაღუპვისას დედიკომ თქვა: შვილო, ექიმობა რომ გესწავლა, ცოცხალი მეყოლებოდიო.

თვითმფრინავის ხმას რომ გაიგონებდა, თვალეხს ცისკენ აღაპყრობდა და დაემებდა. უხაროდა, როგორც იტყვიან, ტანში ვერ ეტეოდა. დედა თუ რაიმეს ეტყოდა, უპასუხებდა: დედიკო, მინდა თვალით ვნახო, ახლოდან, ჩავჯდე, ზევიდან გადმოგხედოთო. ამან ეჭვი არ დაგვიბადა, ხოლო როცა გავიგეთ, გვიანლა იყო.

– როგორ შეხვდით ფადიკოს, როცა თბილისიდან თვითმფრინავით ჩამოფრინდა? – ჩავერიეთ საუბარში.

– მთავრობის ქალაქი და კაცი მოვიდა. ამ დღეს აქ შეიკრიბეთ, ზეიმი იქნება ფადიკოს მონაწილეობითო. ვინ იფიქრებდა თუ თვითმფრინავი მას მოჰყავდა. გვეგონა, ისე ზეიმი, ხალხმრავლობა. თვითმფრინავი რომ დაჯდა, სამხედროები გვეგონა, ახლოს არც მივსულვართ, მარა თვითმფრინავი რომ ჩვენთან მოგორდა, გაიღო კაბინა და “დედიკო, მამიკო” ძახილი შემოგვესმა. მაინც სიზმარში გვეგონა თავი. მამის ფადიკო 19 წლისა იყო. ჩვენმა მთავრობამ დიდი ზეიმი, კამპანია გამართა. უკრავდა ორკესტრი, იყვნენ სტუმრები თბილისიდან, ჩამოვიდნენ მშები, კაპიტანი ელიზბარი ოდესიდან, ფადიკო დააჯილდოვეს ლივერით, გაწყობილი სამთვალაიანი ბინა მისცეს იქ, სადაც ახლა კინოთეატრი “თბილისია”, დუმბაძის ქუჩაზე, სამხედრო კომისარიატთან. ბინა ფადიკოს დაღუპვის შემდეგ გავცვალეთ.

აეროკლუბში ჯერ პარაშუტით ხტომას ასწავლიდა, ძალიან კმაყოფილი იყო, არ დაიღლებოდა. სულ მხიარული, სხვების მოყვარული. მერე თვითმფრინავები მიიღეს და ფრენას ასწავლიდა. გამბედაობით გამოირჩეოდა. მახსოვს დედიკოს ეტყოდა, დღეს სამი გაფრენა მქონდა, ხვალ მეტი იქნება და დამაგვიანდებაო.

ფადიკოს ძალიან აფასებდა ხალხი, მთავრობა, ყურადღება არც ჩვენ გვაკლდა. კომუნისტების დრო იყო, მოგვწონდა, მაგრამ 1940 წელი ჩაგვიშხამდა.

– მაინც რა მოხდა, 6 ოქტომბერი იყო?

– დიახ, 6 ოქტომბერი. კარგად იმიტომაც მახსოვს, რომ იმხანად მე აეროდრომთან ახლოს, რესპუბლიკურ საავადმყოფოში ვმკურნალობდი. ფადიკომ მითხრა, დღეს ახალი თვითმფრინავი უნდა გამოვცადო, ფანჯარაში გამოიხედე და ზევიდან ხელს დაგიქნევო. ქალაქისკენ რომ გამოფრინდა, ხელი მართლაც დამიქნია. დაბრუნებისას ასე არ იყო, რაღაც ტკაც-ტკაც შემომესმა. ცეცხლიც შევნიშნე. ცუდად გავხდი. სულ მალე საავადმყოფოში ჩოჩქოლი ატყდა, ჯარისკაცები მოიყვანეს. არ მეგონა, რომ მომაკვდავი 24 წლის ფადიკო იქნებოდა. თვითმფრინავი ისე დაეცა, რომ ორმო გაკვეთა.

პალატაში არ შეგვიშვეს. დეიდა, “ნელზია” მერეო, რა დამაკავებდა, თავმოგლეჯილი კაცი რომ დავინახე, შემემშინდა, ფადიკო გაჭეჭვილს

ჰგავდა. ტანი ჯერ კიდევ უხტოდა. ექიმმა ქალმა მითხრა, სული ჯერ არ განშორებია, ნუ იტირებ, ცოდვა იქნება, ვაცადოთო. რა უნდა მეთქვა, მართლა სულს აძლევდა. დაიკოს გარბძოლება უშედეგო იყო. ექთნების თანხლებით გავევარდი მშობლებთან, სადაც საზეიმო სუფრა გაეშალათ და გაფრენის დამთავრების შემდეგ, ფადიკოს უნდა მივეყვანე. დაგვიანებაზე დელავდნენ. არ იცოდნენ რომ ფადიკო ტრაგიკულად დაიღუპა. მეც დავმალე, უფროსმა ძმამ შეგვკრიბა ყველა და გამაგრება, თავდაჭერა გვთხოვა. დედაჩემი ჩაიკეცა, ფადიკოს სამი თვის ქალიშვილი ჯულიეტა ძლივს გამოვართვით ხელიდან. ისე სიზმარში უნახავს აფთიაქისკენ გარბოდა, ჩქარა წამალი მომეცითო.

სოუკსუზე დავასაფლავეთ, ფერიაში, სადაც ახლა დედიკო, მამიკო და ძმა ალი განისვენებენ.



ჯულიეტა დედის ბიუსტთან

ჯულიეტა რომ გაიზარდა, ელიზბარმა გემზე წაიყვანა. იქ გაიცნო ლენინგრადელმა ინჟინერმა, რომელმაც მისი ცოლად შერთვა გვთხოვა. ახლა ლენინგრადში ცხოვრობენ, ცნობილი ხალხი არიან, ჩამოდიან ჩვენთან, ბოლო დროს ალის დაკრძალვისას იყვნენ.

საზოგადოებრივი მოძრაობა „**2011 წლის 26 მაისი - „მამული, ენა, სარწმუნოება“**“-ს თავმჯდომარე: თენგიზ ცეცხლაშვილი, დიდ მადლობას ვუხდით ყველას ვინც თავისი მოკრძალებული წვლილი შეიტანა ამ ბროშურის გამოცემისთვის.

22. 11. 2019 წელი



ფადიკო გოგიტიძე

ფადიკო გოგიტიძე პირველი ქართველი მფრინავი ქალია. იგი 1916 წელს ქობულეთში დაიბადა. 1936 წელს დაამთავრა თბილისის საფრენოსნო სკოლა. როგორც გაზეთი „საბჭოთააჭარა“ 1936 წლის აგვისტოს ნომერში წერდა. ფადიკო გოგიტიძეს საფრენოსნო საქმე ერთწელში უნდა შეესწავლა: „ერთ წელში უნდა დაუფლებოდა მანქანის მართვას. ერთ წელში უნდა გამხდარიყო მფრინავი... ჯერ ერთიწელი არ იყო მოთავებული, რომ ფადიკო გოგიტიძე უკვე დამოუკიდებლად ფრენდა, დამოუკიდებლად მართავდა ფოლადის შევარდენს, მართავდა საოცარი სიზუსტითა და სილამაზით.“

„მათ ვაჟკაცურად გადმოეფრინათ სურამის დანისლული უღელტეხილი და სწორედ დანიშნულ დროისთვის ბათუმს დაემგნენ“ - წერდა „საბჭოთა აჭარა“.

ფადიკო გოგიტიძემ თბილისის საფრენოსნო სკოლის დამთავრების შემდეგ მუშაობა დაიწყო ბათუმის აეროკლუბში ინსტრუქტორად. ბათუმის აეროკლუბი მოსახლეობის მიერ ნებაყოფლობით შეგროვებული თანხებით მოეწყო. აქ ხდებოდა მფრინავთა, პლანეტართა, პარაშუტისტთა და ავიამოდელისტთა კადრების მომზადება „წარმოებიდან მოუწყვეტელად“.

ადამიანები საშუალოდ 20-50 მანეთს დებდნენ ბათუმში აეროკლუბისა და აჭარაში საავიაციო სპორტის განვითარებისთვის, გამოწვევის სახით, მათ მეგობრებს ასახელებდნენ.

ფადიკო გოგიტიძე 24 წლის ასაკში დაიღუპა ბათუმში საცდელი ფრენისას, ყოფილი აეროდრომის ტერიტორიაზე.

2013 წელს ბათუმის აეროპორტის შესასვლელთან გადაიტანეს მისი ბიუსტი. ბათუმში არის მისი სახელობის ქუჩაც. (ამონარიდი ინტერნეტიდან).

პარკის შესასვლელში აღმართულ მონუმენტს სათანადო წარწერაც გაუკეთდა (იხ. ყდის გარეკანზე. ფოტო ელგუჯა ფხაკაძის), რომელიც განთავსდა 2019 წლის 17 ნოემბერს, რისთვისაც მადლობას ვუხდით ქალაქის მერს **ლამა კომახიძეს**, ბატონებს: **სულხან ვეგენიძეს** და **ოთარ გორგილაძეს**.



ფადიკო გოგინის წინ

„ფადიკო გოგინის ძეგლთან“

**ოცნებამ ოქროს ფრთები გაშალა,
მიზანმა ზღვაში ზადე გაშალა
შენ რკინის მერანს მოსდე ავშარა
და დაგეუფლა მარადისობა.
ლაქვარდებს შენი სხივი მოჰფინე
და ვარსკლავებში გაიციმციმე.
ახლა კი დგახარ აქ კმაყოფილი
და ვერ გაშინებს ზამთრის სიციფე.**

**მაია მახარაძე
1978, 6 ოქტომბერი**